შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრისთვის“ რადიოსარელეო სიხშირეების მინიჭების შესახებ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 06 მარტის №121/13 გადაწყვეტილებაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრმა“ კომისიას მიმართა განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის შ-6/7749-15,15.10.15), ჩრდილოვან ზონებში განლაგებულ სატელევიზიო ციფრულ რეტრანსლატორებამდე საზოგადოებრივი მაუწყებლის ციფრული მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობის სიგნალის მიწოდებისთვის, ამავე განცხადებაში, გეოგრაფიული კოორდინატებით განსაზღვრულ მონაკვეთებზე რადიოსარელეო სიხშირეების შეთანხმებისა და მინიჭების მოთხოვნით.

კომისია აღნიშნავს, რომ ციფრული მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობის ძირითადი ქსელის ექსპლოატაციაში შეყვანის შემდეგ გამოვლენილ იქნა ჩრდილოვანი ზონები, რაც საქართველოს მსგავსი რელიეფის მქონე ქვეყნისათვის დამახასიათებელია. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ციფრული სატელევიზიო სიგნალით საქართველოს მთელი ტერიტორიის დაფარვისათვისათვის და გამოვლენილი „რადიოჩრდილების შევსების“ მიზნით, ჩრდილოვან ზონებში შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრმა“ განალაგა ციფრული სატელევიზიო რეტრანსლატორები და მოაწყო ქსელი, შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრისთვის“ მინიჭებული რადიოსიხშირეების (სატელევიზიო არხების) გამოყენებით ფუნქციონირებისთვის. ამ რეტრანსლატორებამდე რადიოსარელეო ხაზების მეშვეობით საზოგადოებრივი მაუწყებლის ციფრული მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობის სიგნალის მისაწოდებლად, შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრმა“ მოითხოვა, მის განცხადებაში გეოგრაფიული კოორდინატებით განსაზღვრულ მონაკვეთებზე რადიოსარელეო სადგურების ფუნქციონირებისთვის, დამატებითი სიხშირული რესურსის (რადიოსარელეო სიხშირეების) გამოყოფა.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ მიერ მოთხოვნილ, გეოგრაფიული კოორდინატებით განსაზღვრულ მონაკვეთებზე რადიოსარელეო ხაზების ფუნქციონირების უზრუნველყოფისთვის, შერჩეულ იქნა რადიოსიხშირული

წყვილები, რაც კომისიამ, შეთანხმების მიზნით შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრს“ აცნობა 2015 წლის 10 დეკემბერს №06/3032-15 წერილით.

შერჩეული რადიოსიხშირული წყვილების მინიჭებაზე და გამოყენებაზე შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრი“ კომისიას წერილობით (კომისიაში რეგისტრირებული №შ-06/9919-15) დაეთანხმა.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრს“, კომისიის 2014 წლის 6 მარტის №121/13 გადაწყვეტილებით მინიჭებული აქვს რადიოსარელეო სიხშირეები, რადიოსარელეო სადგურების ფუნქციონირებისთვის, საზოგადოებრივი მაუწყებლის სიგნალის ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელით გასავრცელებლად. იმის გათვალისწინებით, რომ შპს ”საქართველოს ტელერადიოცენტრს” დამატებითი რადიოსარელეო სიხშირეები ესაჭიროება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ციფრული მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობის ძირითადი ქსელის ექსპლოატაციაში შეყვანის შემდგომ აღმოჩენილ ჩრდილოვან ზონებში განლაგებულ ციფრული რეტლანსლატორებამდე საზოგადოებრივი მაუწყებლის სიგნალის მიყვანისთვის, კომისიას მიზანშეწონილად მიიჩნია დამატების შეტანა კომისიის 2014 წლის 6 მარტის №121/13 გადაწყვეტილებაში და შპს ”საქართველოს ტელერადიოცენტრისთვის” ზემოაღნიშნული მიზნით რადიოსარელეო სიხშირეების მინიჭება.

ამასთან ერთად, კომისია დამატებით აღნიშნავს, რომ ციფრული მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობის ძირითადი ქსელის ექსპლუატაციაში შეყვანის პროცესში შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრმა“ კომისიას მიმართა განცხადებით (რეგისტრირებული №შ-6/2976-15, 15.05.15), მაუწყებლობის ქსელის პრაქტიკული აგების ეტაპზე ელექტრომაგნიტური თავსებადობის პირობების დაცვის უზრუნველსაყოფად, კონკრეტული სატელევიზიო გადამცემის განლაგების გეოგრაფიული კოორდინატების შეცვლის საჭიროების შესახებ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიის მიერ 2015 წლის 02 ივლისს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება №373/19, შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრისთვის“ რადიოსიხშირეების მინიჭების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 06 მარტის №120/13 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. შეტანილი ცვლილებების საუძველზე განსაზღვრულ იქნა ციფრული მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობის ქსელის შემადგენელი სატელევიზიო გადამცემების განლაგების კორექტირებული გეოგრაფიული კოორდინატები.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრმა“ მიმდინარე წლის 25 იანვარს კომისიას მიმართა წერილობითი თხოვნით (რეგისტრირებული № შ-7/920-16,29.01.16) გრიგალათის მიმართულებაზე, ზამთრის პერიოდში რთული კლიმატური პირობების და გრიგალათის სადგურის ენერგომომარაგების არასტაბილურობის გამო, 8 გჰც დიაპაზონის რადიოსიხშირული წყვილის გამოყენებით, სარეზერვო მონაკვეთის (ზაკურიანი - ტყიბელი) შექმნის მოთხოვნით.

აღნიშნულიდან გამომდინარე და 2015 წლის 02 ივლისს მიღებულ №373/19 გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, კომისიას, ასევე მიზანშეწონილად მიიჩნია შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრისთვის" რადიოსარელეო სიხშირეების მინიჭების შესახებ 2014 წლის 6 მარტის №121/13 გადაწყვეტილებაში სათანადო ცვლილებების შეტანა, კომისიის 2014 წლის 16 დეკემბრის №688/19 გადაწყვეტილების გათვალისწინებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

**გადაწყვიტა:**

1. შევიდეს დამატება შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრისთვის" რადიოსარელეო სიხშირეების მინიჭების შესახებ" კომისიის 2014 წლის 06 მარტის №121/13 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილებას დაემატოს დანართი №2 (თან ერთვის);

2. დანართი №2 ცნობილ იქნას კომისიის 2014 წლის 6 მარტის №121/13 გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად;

3. შევიდეს ცვლილება „შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრისთვის" რადიოსარელეო სიხშირეების მინიჭების შესახებ" კომისიის 2014 წლის 06 მარტის №121/13 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების დანართში განსაზღვრული:

ა) პირველი სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | თბილისი | 41°41'44.49"N 44°47'05.92"E | დუშეთი | 42°00'07.14"N 44°39'23.84"E | 6375.140 | 6123.100 | 29.650 | ch7 | 252.040 | H | 36 | 80 | 12 |

ბ) მე-2 სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | თბილისი | 41°41'44.49"N 44°47'05.92"E | კოჯორი | 41°40'13.93"N 44°41'17.36"E | 22386.000 | 23394.000 | 28.000 | ch21 | 1008.000 | V | 9 | 80 | 12 |

გ) მე-3 სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | თბილისი | 41°41'44.49"N 44°47'05.92"E | ცივი | 41°52'17.01"N 45°24'34.26"E | 7355.500 | 7194.500 | 28.000 | ch3 | 161.000 | V | 55 | 165 | 10 |

დ) მე-4 სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | ცივი | 41°52'17.01"N 45°24'34.26"E | ყვარელი | 41°54'23.28"N 45°49'41.13"E | 6375.140 | 6123.100 | 29.650 | ch7 | 252.040 | H | 35 | 7 | 7 |

ე) მე-5 სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | ცივი | 41°52'17.01"N 45°24'34.26"E | თიანეთი | 42° 6'7.03"N 44°56'54.94"E | 6375.140 | 6123.100 | 29.650 | ch7 | 252.040 | V | 46 | 7 | 25 |

ვ) მე-6 სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | ყვარელი | 41°54'23.28"N 45°49'41.13"E | სიღნაღი | 41°37'14.89"N 45°53'27.68"E | 6123.100 | 6375.140 | 29.650 | ch7 | 252.040 | V | 32 | 7 | 25 |

ზ) მე-7 სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | სიღნაღი | 41°37'14.89"N 45°53'27.68"E | ლაგოდეხი | 41°48'42.95"N 46°10'17.75"E | 6375.140 | 6123.100 | 29.500 | ch7 | 252.040 | H | 32 | 25 | 7 |

თ) მე-8 სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | ლაგოდეხი | 41°48'42.95"N 46°10'17.75"E | დედოფლის წყარო | 41°28'01.70"N 46°8'11.02"E | 6123.100 | 6375.140 | 29.500 | ch7 | 252.040 | V | 39 | 7 | 7 |

ი) მე-9 სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | კოჯორი | 41°40'13.93"N 44°41'17.36"E | საგარეჯო | 41°43'40.58"N 45°17'17.49"E | 6375.140 | 6123.100 | 29.650 | ch7 | 252.040 | H | 46 | 80 | 10 |

კ) მე-10 სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10 | კოჯორი | 41°40'13.93"N 44°41'17.36"E | წალკა | 41°38'5.61"N 44°14'19.51"E | 6375.000 | 6109.000 | 28.000 | ch7 | 266.000 | H | 38 | 12 | 25 |

ლ) მე-11 სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11 | კოჯორი | 41°40'13.93"N 44°41'17.36"E | ბოლნისი | 41°28'0.66"N 44°32'17.81"E | 6375.000 | 6109.000 | 28.000 | ch7 | 266.000 | V | 26 | 12 | 7 |

მ) მე-13 სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13 | წალკა | 41°38'5.61"N 44°14'19.51"E | დმანისი | 41°22'39.69"N 44°12'53.95"E | 8363.000 | 8482.000 | 28.000 | ch6 | 119.000 | V | 30 | 7 | 7 |

ნ) მე-14 სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14 | წალკა | 41°38'5.61"N 44°14'19.51"E | ცხრაწყარო | 41°41'51.65"N 43°33'25.86"E | 6375.140 | 6123.100 | 29.650 | ch7 | 252.040 | H | 57 | 7 | 10 |

ო) მე-15 სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15 | ცხრაწყარო | 41°41'51.65"N 43°33'25.86"E | ახალქალაქი | 41°20'51.01"N 43°25'33.52"E | 6123.100 | 6375.140 | 29.650 | ch7 | 252.040 | V | 40 | 10 | 7 |

პ) მე-17 სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17 | ჯვრის უღელტეხ | 42°30'53.8 | ყაზბეგი (სნო) | 42°39'24.3 | 6375.000 | 6109.000 | 28.000 | ch7 | 266.000 | V | 13 | 10 | 10 |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ილი | 2"N 44°26'22.85"E | | 8"N 44°39'09.73"E | | | | | | | | | |

ჟ) მე-18 სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18 | დუშეთი | 42°0'7.14" N 44°39'23.84"E | გორი | 42° 1'57.12"N 44° 2'50.89"E | 7512.000 | 7694.000 | 28.000 | ch4 | 182.000 | V | 52 | 10 | 15 |

რ) 22-ე სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22 | ბორჯომი | 41°49'27.20"N 43°23'0.33" E | ბაკურიანი | 41°44'8.97" N 43°33'12.01"E | 7577.500 | 7738.500 | 28.000 | ch21 | 161.000 | V | 18 | 7 | 7 |

ს) 26-ე სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 26 | მწვანე ტბა | 41°40'13.05"N 42°31'2.43" E | ხულო | 41°38'23.80"N 42°20'34.39"E | 7577.500 | 7738.500 | 28.000 | ch21 | 161.000 | V | 15 | 7 | 10 |

ტ) 43-ე სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 43 | დაბლაციხე | 42° 0'52.60"N 42°17'42.05"E | ოზურგეთი | 41°54'48.87"N 41°59'34.00"E | 8335.000 | 8454.000 | 28.000 | ch4 | 119.000 | V | 32 | 5 | 7 |

უ) 44-ე სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 44 | ოზურგეთი | 41°54'48.87"N 41°59'34.00"E | ბაილეთი | 41°58'58.77"N 41°57'40.42"E | 18250.000 | 19260.000 | 28.000 | ch20 | 1010.000 | V | 8.4 | 7 | 10 |

ფ) 51-ე სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 51 | ძვ.ზურულდი | 43° 1'28.43"N 42°46'7.46" E | მესტია | 43°01'21.84"N 42°45'21.40"E | 6235.000 | 5969.000 | 28.000 | ch2 | 266.000 | H | 2 | 7 | 7 |

ქ) 53-ე სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 53 | სენაკი | 42°17'23.64"N 42° 3'28.45"E | ფოთი | 42°11'15.73"N 41°42'3.62" E | 7619.500 | 7780.500 | 28.000 | ch3 | 161.000 | H | 32 | 15 | 30 |

ღ) 54- ე სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 54 | ფოთი | 42°11'15.73"N 41°42'3.62"E | ჩხოროწყუ | 42°31'46.63"N 42°6'11.88"E | 8293.000 | 8412.000 | 28.000 | Ch1 | 119.000 | H | 55.5 | 15 | 50 |

ყ) დაემატოს 55-ე სტრიქონი შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 55 | ბაკურიანი | 41°44'8.97"N 43°33'12.01"E | ტყიბული | 42°22'27.53"N 43° 2'20.90"E | 8454.000 | 8335.000 | 28.000 | Ch4 | 119.000 | V | 83 | 35 | 7 |

შ) 56-ე სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 56 | ჯვარი | 42°43'30.75"N 42° 3'24.10"E | წალენჯიხა | 42°36'59.89"N 42°03'45.01"E | 18195.000 | 19205.000 | 28.000 | ch18 | 1010.000 | V | 12 | 10 | 15 |

ჩ) 58-ე სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 58 | ფოთი | 42°11'15.73"N 41°42'3.62"E | ბათუმი | 41°41'37.58"N 41°42'54.98"E | 7263.500 | 7424.500 | 28.000 | ch1 | 161.000 | V | 55 | 50 | 25 |

ც) მე-60 სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 60 | ბეთლემი | 41°40'22.43"N 41°57'3.59"E | შუახევი | 41°38'56.89"N 42°11'24.38"E | 7263.500 | 7424.500 | 28.000 | ch1 | 161.000 | H | 20 | 7 | 7 |

ძ) 61-ე სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 61 | შუახევი | 41°38'56.89"N 42°11'24.38"E | ხულო | 41°38'23.80"N 42°20'34.39"E | 7424.500 | 7263.500 | 28.000 | ch1 | 161.000 | V | 13 | 10 | 10 |

წ) 62-ე სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 62 | შუახევი | 41°38'56.89"N 42°11'24.38"E | გულები (ქედა) | 41°37'8.22"N 41°56'1.33"E | 7577.500 | 7738.500 | 28.000 | ch21 | 161.000 | H | 22 | 10 | 10 |

4. აღირიცხოს შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრისთვის" მინიჭებული რადიოსარელეო სიხშირეები კომისიის უწყებრივ რეესტრში (რ. ქურდაძე);

5. დაევალოს შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრს" გადაწყვეტილების მიღებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში, უზრუნველყოს კომისიის რადიოელექტრონული მოწყობილობების რეესტრში, ამავე რეესტრით გათვალისწინებული ინფორმაციის ელექტრონული წესით ასახვა (ვებ მისამართი: http://reestri.gncc.ge/); რადიოელექტრონული მოწყობილობების რეესტრით გათვალისწინებული პარამეტრების ცვლილება რეესტრში ასახულ იქნას ცვლილების განხორციელებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;

6. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს წინამდებარე გადაწყვეტილების ასლის, დანართის და დანართი №2-ის შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრისთვის“ გაგზავნის უზრუნველყოფა და გამოქვეყნება ინტერნეტში კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (ნ. ჯანელიძე);

7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;

8. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტს (ს. შავგულიძე);

9. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს ამ გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრისთვის“ ჩაბარებისთანავე.

| | |
|---|---|
| კომისიის თავმჯდომარე | ვ.აბაშიძე |
| კომისიის წევრი | ე.ასანიძე |
| კომისიის წევრი | გ.ფრუიძე |
| კომისიის წევრი | მ.ქათამაძე |